შპს კოსტავას 69
KOSTAVA 69 LLC

თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამ. 39დ
საიდ. კოდი: 405428041

39 d, Chavchavadze Ave., Tbilisi
ID: 405428041

№01-09/07/25

09.07.2025 წ

# თ ა ნ ხ მ ო ბ ა

2025 წლის 9 ივლისს, შპს „კოსტავას 69“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405428041) („მესაკუთრე“) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა კობიაშვილის (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 54001002613) მიერ, გასცემს თანხმობას და ანიჭებს შპს ნეო სითი დეველოპმენტს (ს/კ 404669729) უფლებას, რომ:

1. ქ. თბილისის მერიისგან, საკუთარი (შპს ნეო სითი დეველოპმენტის) სახელით მოიპოვოს იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვა, რომლებიც განლაგებულია „მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით: 01.15.03.004.037, 01.15.03.004.038, 01.15.03.004.015, 01.15.03.004.043, 01.15.03.004.046, 01.15.03.004.090, 01.15.03.004.008, 01.15.03.004.041, 01.15.03.004.017, 01.15.03.004.049. 01.15.03.004.028, 01.15.03.004.013, 01.15.03.004.042 (შემდგომში „დემონტაჟი“)
2. პირველ პუნქტში მითითებული დემონტაჟის ნებართვის მოპოვების მიზნებისთვის და ფარგლებში შპს ნეო სითი დეველოპმენტი უფლებამოსილია საკუთარი სახელით მონაწილეობა მიიღოს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში საკუთარი სახელით წარადგინოს დემონტაჟის ნებართვის მისაღებად განაცხადი და ნებისმიერი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ხარვეზის დადგენის შემთხვევაში წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია და განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რაც საჭირო იქნება ასეთი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, , მონაწილეობა მიიღოს დემონტაჟის ნებართვების მისაღებად გამართულ ნებისმიერ ზეპირ ადმინისტრაციულ წარმოებასა და განხილვაში, მხოლოდ დემონტაჟის ნებართვის მოპოვების მიზნობრიობით და ფარგლებში ხელი მოაწეროს, წარადგინოს, დაწეროს, გაეცნოს ან გამოითხოვოს შესაბამისი განცხადება, მოთხოვნა, განაცხადი, წერილი თუ სხვა დოკუმენტი ან საბუთი და აწარმოოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პროცედურა. განახორციელოს ნებისმიერი ქმედება რაც აუცილებელი იქნება დემონტაჟის ნებართვის მოპოვებისთვის.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია მისი ხელმოწერიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და შპს ნეო სითი დეველოპმენტი არ არის უფლებამოსილი წინამდებარე თანხმობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები დაუთმოს მესამე პირს, თუმცა შპს ნეო სითი დეველოპმენტი უფლებამოსილია ამ თანხმობით მიღებული უფლებების რეალიზაციისთვის გასცეს შესაბამისი მინდობილობები მესამე პირებზე.

შპს „კოსტავას 69“
დირექტორი
კახა კობიაშვილი